# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 342

„ 6 " ნოემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუს №6ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.008.016.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი №6ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.008.016.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 29 ოქტომბრის №20.1283.1588 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი 6ა-ში, ბინა №23-ში მდებარე 20.00 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.23.008.016.01.023) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნატო მჭედლიძისთვის (პ/ნ 57001014879) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება,ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდესთბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე